



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება N98**

20 თებერვალი 2019 წ.

ქ. რუსთავი

**„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 01 თებერვლის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 01 თებერვლის №19-ე დადგენილების ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08.02.2018წ., 010250020.35.160.016455) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ში - „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის დებულებაში“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოებრივი განათლების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი